დამტკიცებულია თჰუ აკადემიური საბჭოს
2025 წლის 09 ივნისის N09 დადგენილებით

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე მეთოდოლოგიის შემუშავების გზით, სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაზე აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის (შემდგომში პერსონალის) რაოდენობა ადეკვატური უნდა იყოს სტუდენტთა რაოდენობის და უნდა ქმნიდეს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული პერსონალი უნდა უზუნველყოფდეს სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობას.
3. აღნიშნული მეთოდოლოგიის დამტკიცების მიზანია უნივერსიტეტის პერსონალის პროგრამებზე რელევანტური გადანაწილება საგანმანათლებლო საქმიანობის მაღალ დონეზე განსახორციელებლად.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალი

1. აკადემიური თანამდებობის პირი თავის კომპეტენციის ფარგლებში უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების კვლევით მუშაობას;
2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის გამოითვლისას მხედველობაში მიიღება სკოლის პროგრამის/პროგრამების სპეციფიკა, სადაც გათვალისწინებული იქნება ვიწრო სფეროს თავისებურებები, დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნები და არსებობის შემთხვევაში სხვა გარემოებები;

მუხლი 3. მოწვეული პერსონალი

1. მოწვეული პერსონალი თავის კომპეტენციის ფარგლებში უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების კვლევით მუშაობას;
2. მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის ფარგლებში თითოეული სასწავლო წლისათვის განსაზღვრული მოსალოდნელი მისაღები სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებიდან გამომდინარე;

მუხლი 4. სამეცნიერო პერსონალი

1. უნივერსიტეტს მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება ჰყავდეს სამეცნიერო პერსონალი.
2. სამეცნიერო პერსონალი შედგება მეცნიერებისაგან.
3. მეცნიერებს მიეკუთვნებიან: უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი.

მუხლი 5. პერსონალის რაოდენობრივი მახასიათებლები

1.პროგრამაზე არსებული და დაგეგმილი სტუდენტების კონტიგენტის მიხედვით პროგრამაზე აკადემიური პერსონალის მინიმალური ზღვრული ოდენობებია:
ა) საბაკალავრო საფეხურის პროგრამებისთვის (20 სტუდენტზე გაანგარიშებით):
ა.ა) პროფესორი - 1,
ა.ბ) ასოცირებული პროფესორი - 3,
ა.გ) ასისტენტ-პროფესორი - 1,
ა.დ) ასისტენტი - 3.

ბ) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (20 სტუდენტზე გაანგარიშებით):
ბ.ა) პროფესორი - 1,
ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი - 3,
ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი - 1,
ბ.დ) ასისტენტი - 3.
გ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (15 სტუდენტზე გაანგარიშებით):
ბ.ა) პროფესორი - 2,
ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი - 2,
ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი - 1,
ბ.დ) ასისტენტი - 2.
დ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის (20 სტუდენტზე გაანგარიშებით):
დ.ა) პროფესორი - 1,
დ.ბ) ასოცირებული პროფესორი - 1
დ.გ) ასისტენტ-პროფესორი - 1.
2. ერთი და იგივე პროფესორი შეიძლება ჩაეთვალოს ვიწრო სფეროს გათვალისწინებით სხვადასხვა პროგრამას.
4. პროგრამის მიხედვით მოწვეული პერსონალის ოდენობა დგინდება საჭიროების შემთხვევაში, შემდეგი გაანგარიშებით:
ა) მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აკადემიურ პერსონალთან არ უნდა აღემატებოდეს აკადემიური პერსონალის 1,5 ოდენობას; დასაშვებია მოწვეული პერსონალის ოდენობის დადგენილ თანაფარდობაზე გადაცილება, პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნისა და შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით;
ბ) ერთი და იგივე მოწვეული პერსონალი ეთვლება ვიწრო სფეროს გათვალისწინებით სხვადასხვა პროგრამას;
გ) ერთ მოწვეულ პერსონალზე მოსული სტუდენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30-ს.
5. უნივერსიტეტს შესაძლებელია ყავდეს სამეცნიერო პერსონალი, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება საჭიროებიდან გამომდინარე, შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების გათვალისწინებით ვიწრო სფეროს მიხედვით.
6. სამიზნე ნიშნულები:
6.1.პროგრამის მიხედვით აკადემიური პერსონალის მინიმალური ოდენობა:
ა) საბაკალავრო საფეხურის პროგრამებისთვის (20 სტუდენტზე გაანგარიშებით):
ა.ა) პროფესორი - 2,
ა.ბ) ასოცირებული პროფესორი - 4,
ა.გ) ასისტენტ-პროფესორი - 2,
ა.დ) ასისტენტი - 4.
ბ) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (20 სტუდენტზე გაანგარიშებით):
ბ.ა) პროფესორი - 2,
ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი - 4,
ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი - 2,
ბ.დ) ასისტენტი - 4.
გ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (15 სტუდენტზე გაანგარიშებით):
ბ.ა) პროფესორი - 2,
ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი - 3,
ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი - 2,

ბ.დ) ასისტენტი - 2.
დ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის (20 სტუდენტზე გაანგარიშებით):
დ.ა) პროფესორი - 1,
დ.ბ) ასოცირებული პროფესორი - 2
დ.გ) ასისტენტ-პროფესორი - 1.
6.2. პროგრამაზე სტუდენტთა კონტიგენტზე გაანგარიშებით მოწვეული პერსონალის ოდენობის სამიზნე ნიშნული არის (საჭიროების შემთხვევაში):
ა) 1 პერსონალი / 20 სტუდენტი.

მუხლი 6. შინაარსობრივი მახასიათებლები
1. პროგრამებზე პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას:
ა) გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საერთო აკადემიური საათების რაოდენობა;
ბ) გათვალისწინებული უნდა იყოს პერსონალის მიხედვით უნივერსიტეტში არსებული დატვირთვის სქემა (საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პერსონალის რაოდენობა გადანაწილდება მათ მიერ შესასრულებელი აკადემიური საათების პროპორციულად);
გ) უნდა დაიფაროს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო/კვლევითი კომპონენტები სრულად (პროგრამაში შემავალ ყველა სასწავლო კურსს (კომპონენტს) ჰყავდეს განმახორციელებელი);
დ) სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსების)/კვლევითი კომპონენტის მიხედვით პერსონალის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს მათ საქმიანობას;
ე) სასურველია პერსონალი იყოს დატვირთული იმ რაოდენობის სასწავლო კურსებით რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიწოდებას (სასურველია მაქიმუმ 3 სასწავლო კურსის წაკითხვა);
ვ) საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა კონტინგენტის პროპორციულად, პროგრამის სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით;
ზ) პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, ფაკულტეტი ითვალისწინებს თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა არსებულ და მისაღებ კონტიგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

მუხლი 7. პერსონალის რაოდენობის თანაფარდობის სამიზნე ნიშნულები
1. უნივერსიტეტში სასწავლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებლად განხორციელებისთვის და ორგანიზაციის საქმიანობის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, პერსონალის რაოდენობასთან მიმართებაში დადგენილია სამიზნე ნიშნულები.
2. სამიზნე ნიშნულები წარმოადგენს კარგ პრაქტიკაზე დაფუძნებულ თვლად მაჩვენებლებს, რომლის მიღწევა განაპირობებს ორგანიზაციული პროცესების მდგრადობას.
3. უნივერსიტეტის პერსონალთან მიმართებაში არსებული სამიზნე ნიშნულებია:
ა) აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან;
ბ) აკადემიური პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების პერსონალის მთლიან რაოდენობასთან;
გ) აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან;
დ) აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;

ე) აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან;
ვ) ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;
ზ) აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან;
თ) აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;
ი) აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი;
კ) მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი;
ლ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი.
4. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ახორციელებს შესაბამისი სამიზნე ნიშნულების მიხედვით მის ხელთ არსებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას და აკეთებს ყოველწლიურ ანგარიშს, პერსონალის რაოდენობის დადგენილი თანაფარდობის/სამიზნე ნიშნულის დაცვის (ნიშნულზე გასვლის თუ ვერგასვლის) თაობაზე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი
1. წინამდებარე მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანა ხდება თჰუ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.